საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4835/01
17/05/2021

4835-01-2-202105171558

ფ/პ პაატა გირმისაშვილს

მის: ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. შილდა

ელ. ფოსტა: beqagirmisashvili@gmail.com

tel: 557 10 53 67

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 26 მარტის N5361 განცხადება, რომელიც ეხება ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფ. შილდას მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული თევზსაშენი ტბორის ექსპლუატაციის პროექტს.

გაცნობებთ, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე თანდართულ ჩამდინარე წყლებთან ერთად, ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტში დაშვებულია ხარვეზები, კერძოდ:

- წარმოდგენილი დოკუმენტის სატიტულო ფურცელი არ შეესაბამება 2013 წლის 31 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N414 დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
- დოკუმენტში არასწორად არის მითითებული საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლის კატეგორია;
- არ არის დასაბუთებული ჩამდინარე წყლისთვის დადგენილი და ზდჩ ნორმების ანგარიშში გამოყენებული ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების მაჩვენებლები.
- დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი მიმღები წყლის ობიექტში არსებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ფონური კონცენტრაციების ლაბორატორიული კვლევის შედეგები;
- ჩამდინარე წყლებში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმა გაანგარიშებული უნდა იყოს 2013 წლის 31 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N414 დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნების და არა N17 დადგენილების შესაბამისად.

ჩამდინარე წყლებთან ერთად ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი საჭიროებს ზემოაღნიშნული უზუსტობებისა და შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებას.

შესაბამისი ინფორმაცია და განმარტებები ასევე დამატებით წარმოდგენილ იქნეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან მიმართებითაც.

გთხოვთ, არაუგვიანეს ერთი თვის ვადისა უზრუნველყოთ, ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენა, რის შემდგომაც, სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაახლებს ადმინისტრაციულ წარმოებას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე